URL: http://urakparaki.com/?m=4&ID=117539

ავტორი: ირაკლი ასლანიკაშვილი
ჟანრი: პოეზია
გამოქვეყნების დრო: 2026-03-24 16:12:06

# მზიანი ღამე (მის უწმინდესობას)

რანაირი განცდაა, გულს ლახვარი ესობა,
თუმცა ტკენით არ გვტკივა, თქვენო უწმინდესობავ.

ვტირით, მაგრამ უცრემლოდ, დარჩენილნი ობლებად,
ცრემლი გამოგვილია თქვენმა საგალობლებმა.

რამდენი რამ გაკადრეს, ვის არ შეგადარეს, ო...,
თქვენ კი უხმოდ ითმენდით, ჩვენო უნეტარესო.

ჩვენთვის მძიმე მარხვაა, თქვენთვის აწი ხსნილია,
ანგელოზნი ხარობენ - მოვიდაო ილია!